ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2862751

ნომერი: AR1441931

თარიღი : 19.09.2016

გაცემის თარიღი : 29.09.2016

გაცნობის თარიღი : 13.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 17 / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატ. N15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ჩოქური პ/ნ 01008022448
- თბილისი წყნეთის გზატ. N 19

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1441931 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით # AR1439425 განაცხადებით მოთხოვნილ საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 12 სექტემბერს #AR1439425 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ნიკა მერაბიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, # 17 / ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატ. #15 - ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.